

შპს არტსტუდიო-პროექტი
2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	კომ.	31.12.23	31.12.22
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	522 922,80	297 565,89
მოკლევადიანი მოთხოვნები	4	1 238 298,02	1 165 184,13
მარაგები		25 523,61	47 414,49
წინასწარ გაწეული ხარჯები		-	2 980,08
		1 786 744,43	1 513 144,59
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	5	262 431,19	236 011,69
		262 431,19	236 011,69
		2 049 175,62	1 749 156,28
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	6	1 976 390,73	1 632 392,11
		1 976 390,73	1 632 392,11
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200,00	200,00
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		72 584,89	116 564,17
		72 784,89	116 764,17
		2 049 175,62	1 749 156,28

დირექტორი
ი. სკალვინი



საქმიანობის შედეგები

	2023	2022
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	2 789 611,91	3 428 596,65
მომსახურების თვითღირებულება	(780 256,61)	(799 073,22)
საერთო მოგება	2 009 355,30	2 629 523,43
წმინდა სხვა შემოსავალი	-	2 413,19
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 713 844,79)	(1 531 721,60)
ცვეთა და ამორტიზაცია	(41 361,00)	(34 482,87)
საპროცენტო ხარჯი	-	-
იჯარის ხარჯი	(3 148,59)	(3 120,00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(294 980,20)	(230 421,74)
საოპერაციო მოგება	(43 979,28)	832 190,41
წმინდა მოგება / (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	-	7 090,23
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	(43 979,28)	839 280,64
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)	(43 979,28)	839 280,64
საკუთრი კაპიტლი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	116 764,17	(722 516,47)
კაპიტალის გაზრდა	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	72 784,89	116 764,17

დირექტორი
ი. სკალვინი

[Handwritten Signature]



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს არტსტუდიო-პროექტი (ს/ნ 204489393, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2005 წლის 18 ოქტომბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გ. ტაბიძის ქ., N3/5.

კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან:

- გიორგი სულაბერიძე (პ/ნ 01008003578) – 25%;
- ვასილ წერეთელი (პ/ნ 01005002922) - 50%;
- ოთარ სულაბერიძე (პ/ნ 01008047000) – 25%.

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - ოთარ სულაბერიძე (პ/ნ 01008047000);
- დირექტორი - ირენე სკალვინი (პ/ნ 01030053980).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საპროექტო მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე

გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც განეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადანაწილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები,

რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებული. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს

ფული და ფულადი ექვივალენტები	31.12.23	31.12.22
ფული ბანკში	522 922,80	297 565,89
	522 922,80	297 565,89

4. მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები მოიცავს

მოკლევადიანი მოთხოვნები	31.12.23	31.12.22
მოთხოვნები მომსახურებიდან	167 588,22	166 840,02
მოთხოვნები პერსონალისადმი	1 594,00	358,50
გაცემული ავანსები	639 228,82	559 736,14
საგადასახდო აქტივი	429 886,98	438 249,47
	1 238 298,02	1 165 184,13

5. ძირითდი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	31.12.22	წმინდა ცვლილება	ცვეთა	31.12.23
ისტორიული ღირებულება				
შენობები	377 874,73	-	-	377 874,73
კომპიუტერული ტექნიკა	312 164,73	59 673,73	-	371 838,46
ოფისის აღჭურვილობა	138 838,14	8 106,77	-	146 944,91
სატრანსპორტო საშუალებები	85 327,02	-	-	85 327,02
არამატერიალური აქტივები	286,45	-	-	286,45
	914 491,07	67 780,50	-	982 271,57

აკუმულირებული ცვეთა				
შენობები	(211 665,50)	-	(11 290,00)	(222 955,50)
კომპიუტერული ტექნიკა	(207 128,88)	-	(18 094,00)	(225 222,88)
ოფისის აღჭურვილობა	(126 802,44)	-	(10 854,00)	(137 656,44)
სატრანსპორტო საშუალებები	(132 516,25)	-	(1 123,00)	(133 639,25)
არამატერიალური აქტივები	(366,31)	-	-	(366,31)
	(678 479,38)	-	(41 361,00)	(719 840,38)

საბალანსო ღირებულება				
შენობები	166 209,23	-	(11 290,00)	154 919,23
კომპიუტერული ტექნიკა	105 035,85	59 673,73	(18 094,00)	146 615,58
ოფისის აღჭურვილობა	12 035,70	8 106,77	(10 854,00)	9 288,47
სატრანსპორტო საშუალებები	(47 189,23)	-	(1 123,00)	(48 312,23)
არამატერიალური აქტივები	(79,86)	-	-	(79,86)
	236 011,69	67 780,50	(41 361,00)	262 431,19

6. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს

სავაჭრო ვალდებულებები	31.12.23	31.12.22
მომწოდებლები	32 101,42	27 989,97
ვალდებულებები პერსონალისადმი	475,95	2 017,67
მიღებული ავანსები	1 943 813,36	1 602 384,47
	1 976 390,73	1 632 392,11